

საგზაო

საერთო გაზეთი ხუთშაბათი 17 მარტი 2005 №58 (2381)


ფასი 50 თეთრი



**ფაქტობრივად
გინესის
ეკლექტიკა
დაუბრუნდა
სტადიონი,
სასტუმრო,
ბაზა:
ნახე, როგორ
ამაყუნდა!**



**ბაბარი
ჩელსის ჯაელი
კაპიტანი
ინტერვიუ
ჯონ
ტარინთან**



**მურმანის
პარტი
დაიშლება
თუ არა თუ-ს
პარტიკულარული
გუნდია?**



რადე! დავუბრუნებ ბლოხინს მწვრთნელ ბლოხინს უკრაინა დაატოვებინა

მოსახდენი მოხდა — ჩვენი ჯგუფის
ლიდერის უკრაინის ნაკრების თავკაცი
ოლეგ ბლოხინი გადადგა!
ეს ამბავი თავად ბლოხინმა უმაღლესი
რადას გუშინდელ სხდომაზე
განაცხადა. ან ყოფილი მწვრთნელის
და იმავდროულად რადას დეპუტატის
თქმით, იგი დაილაღა, ოპონენტების
ფსიქოლოგიურ-მორალურ-
პოლიტიკურ დანოლას ველარ გაუძლო
და გადაწყვეტილება მიიღო.
— ჯერ კიდევ წინა კვირაში დავნერე
განცხადება გადადგომის თაობაზე —
თქვა ბლოხინმა და იმ
ნარმატებებზეც ისაუბრა, რასაც
უკრაინის ნაკრებმა 2006 წლის
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ
ციკლში მიაღწია.
— თუკი ჩემი მწვრთნელობა
მნიშვნელოვნად განსხვავდება
უნივერსიტეტში მომუშავე სხვა
დეპუტატების საქმიანობისგან, მაშინ
ქუდი დამიხურავს — თქვა ბლოხინმა
და... წავიდა.

იხილეთ მეორე გვერდზე



ტური თბილისური დაგვიანებულმა მუთაისის პოლიციამ უემთხვევის აღბილზე 1:1 ნახა



„ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:0. რეინიგებულმა ვეტერინარებს მეორე ეტაპზე პირველი მარცხი აგემეს

პირველი
მეორე
მესამე
მეოთხე
მეხუთე
მეექვსე
მეშვიდე
მეათე
მეორვე

ბადრი კეთილაძის ფოტო



არ გექადრებათ!

ლოკომოტივმა და შიტ ჯორჯიამ ბურთი გააბორეს...

თბილისი 16 მარტი 15 საათი 80მინ 85სმ. 200 (ტელევიზია 26 500)

ლოკომოტივი 1:0 შიტ ჯორჯია

10 კახელიშვილი (64)

ლოკომოტივი: გვარამაძე, გიგაურა, გ. ონიანი, მახვილაძე, სეთურაძე, ლაღიძე (დ. ფოცხაძე 89), მანჩავა, ლ. ხანიკიძე, ბობოხიძე, რაზმაი (ლ. ქეხაძე 60), კახელიშვილი, საბაძაგორიძე, სტურუა, ექონია, მინარიშვილი, აღავერდაშვილი, მაკაროვი **85მინ 50წმ**: ნოდარ აკობია

შიტ ჯორჯია: ჭერაძე, კობიაშვილი, იმედაშვილი (გველეხიანი 66), იმედაშვილი, რაზმაი, ლ. ვარაძე, ფიქორიშვილი (ეზანაძე 71), მ. დათუნაშვილი (ჩიფინაძე 77), ვ. გომაშვილი, მარცვალაძე, ხოსოკია (საბაძაგორიძე), ბედიასვილი, გ. კახაძე, დ. ლომია, ცხომიათა **85მინ 50წმ**: ვანი კარნელი

გაზრმანიშვილი: ბობოხიძე (10), ხანიკიძე (49), იმედაშვილი (63), რაზმაი (85), კახელიშვილი (90), კობიაშვილი (90)

შპს-ები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოჯაძე (ორივე სამტრედიას); ა. ორდინიძე (თბი)

ინსაბერაძე 15 კაცული

ისეთი უნიათო ბურთობა ენახეთ, ამ დონის გუნდებს რომ არ ეკადრებათ. ეს ეგებ, ზედმეტი სიფრთხილის გამოძახილიც იყო, თუმც მაინც, რაც უნდა იფრთხილო, 45 წუთში კარისკენ ერთ-ორჯერ ხერხიანად დარტყმას წინ რა უდგას... შესვენებამდე მოედანზე ისეთი არაფერი მომხდარა, სათქმელად რომ ღირდეს. ორივე გუნდის მკვლელები რამდენჯერმე კი შეცდნენ და თავდამსხმელებს მწკვედ შეტევის საშუალება მისცეს, მაგრამ ესენი ხან ბურთს აყოვნებდნენ, ხანაც პასები გამოსდიოდათ უზუსტოდ. თამაში შედარებით უკეთესი მეორე ტაიმში გამოვიდა, რაც პირველ ყოვლისა, მასპინძლების დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ, ერთ-ორად რომ გააქტიურდნენ და ტემპს უმატეს. შედეგაც არ დაყოვნა — 64-ე წუთზე ლევან ხანიკიძემ დაახლოებით 20 მეტრიდან, ჯარიმიდან, დაურტყა სერგო ჭურაძეს, რომელმაც ბურთი ხელებში ვერ შეიკავა, იქვე მყოფმა გორგი კახელიშვილმა კი დამატებაზე იმარჯვა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა — 1:0.

სტუმართა თავკაცმა ვანი კარნელიმ მაშინვე შეცვლა გააკეთა, თუმც ამით გუნდის თამაშს არაფერი დასტყობია, მწკვეთნელმა დაცვაში მოახდინა მცირე გადაადგილება. მოვიანებით კარნელიმ კიდევ ორი შეცვლა გააკეთა, საქმეში ორი თავდამსხმელი ჩართო, მაგრამ შედეგი ვერც ამით მიიღო. „ვიტ ჯორჯიას“ მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდა: ოთარ მარცვალაძემ დავით გვარამაძეს შორეული კუთხისკენ დაურტყა, მეკარემ ბურთი უკუაგდო, ირაკლი ეზანოძის დამატებული კი უზუსტოდ გამოდგა. ამ მომენტის სანაცვლოდ სტუმრებმა „ლოკომოტივის“ რამდენიმე ძალიან სახიფათო შეტევა მიიღეს, მაგრამ მასპინძლებმა ველარ ივარგეს და საგოლედ ნაღდი შანსები გააცუდეს.

„ვიტ ჯორჯიამ“ ზურგი რომ მოლომდა მისული, თუმც „ტორპედოს“ მკვებურები ვალს არ აღიარებენ და კლუბშიც გაურკვეველი ვითარებაა. „ხესტაფონს“, „დილას“, „სიონსა“ და „ბორჯომს“. მცირე საკადრო-ადმინისტრაციული პრობლემები ჰქონიათ; „კოლხეოს“ ფედერაციაში წერილი უფრენია, კლუბში რეორგანიზაცია მიმდინარეობს და ცოტაც გაადროვით; „ბათუმთან“ კი თურმე საერთოდ არაფერი ისმის.

თბილისი	24	15	4	5	46:26	49
დინამო	24	15	3	6	47:23	48
ტორაელო	24	12	8	4	38:20	44
ლოკომოტივი	24	10	10	4	32:19	40
შიტ ჯორჯია	24	10	7	7	37:28	37
ზესტაფონი	24	11	2	11	25:38	35
ბათუმი	24	6	9	9	26:22	27
კოლხეთი	24	6	5	13	23:33	23
სიონი	24	6	3	15	21:48	21
დილა	24	2	3	19	15:53	9

კოლა ინასარიძე
ჩემპიონატის განახლებამდე ორივე გუნდი ახალმა მწვრთნელებმა ჩაიბარეს, შემდგენლობები გადაახალისეს და გუშინდელად წაგება არც ერთმა იცოდა. არადა, მეორე ეტაპზე, ურთიერთშეხვედ-

რამდე, ორივე გუნდს ჰქონდა რთული მატჩები, თუმც ხელცარიელნი არც ერთხელ დარჩენილან. ასეთი, თუნდაც მშრალი სტატიკის გათვალისწინებითაც კი, ამათი გუშინდელი მატჩი მეტად დამუხტული, დამაბული უნდა ყოფილიყო. ვარაუდი არ გამართლდა,

სამართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებისგან სალიცენზიო დოკუმენტაციის მიღება შეწყვიტა და ახლა მათ განხილვა-დამუშავებას იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციას ლიცენზიების მისაღებად უმაღლესი ლიგის ყველა კლუბმა თანხმობა მისცა, 15 მარტამდე დოკუმენტაცია სულ ოთხმა უმაღლესლიგელმა და ორმა პირველილიგელმა ჩააბარა: „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „თბილისი“, „ლოკომოტივი“, „ამერი“ და „სპარტაკი“ არიან ის კლუბები, რომლებიც სავარაუდოდ სეზონის ბოლოს მიიღებენ ვეროტურნირებზე თამაშის ლიცენზიას „ამერსა“ და „სპარტაკს“ ვეროსარბიელზე მონაწილეობის შანსი წლეულს არ აქვთ, თუმც ამით თავდარივი წინასწარ დაიჭი-

არ გინდათ ლიხენოზია?! უმაღლეს პირველმა აჯობა

რეს და ადრე თუ გვიან მაინც გასაკეთებელი საქმე, ფაქტობრივად, ახლავე მოითავეს. როგორც სალიცენზიო კომიტეტის თავმჯდომარემ გერა ხეცურიაძემ და მენეჯერმა ნოდარ ჩილარიამ თქვეს, უმაღლესი ლიგის დანარჩენი ექვსი კლუბიდან ფედერაცია სალიცენზიო დოკუმენტებს აწი აღარ მიიღებს, გამონაკლისი, შესაძლოა, „ტორპედო“ იყოს.

ქუთაისელთა წარმომადგენელი ფედერაციაში გუშინწინ იყო — პრესატაშემ დოკუმენტაციის წარდგენის ნაცვლად, კომიტეტის წევრებს ისლა აცნობა, სალიცენზიო საკითხების მოგვარება, კლუბში, ალბათ, მე დამეკისრებაო. „ტორპედოს საბანკო ანგარიში უკვე რა ხანია დაყადლებულია და საქმე სასამართ-


ლომდა მისული, თუმც „ტორპედოს“ მკვებურები ვალს არ აღიარებენ და კლუბშიც გაურკვეველი ვითარებაა. „ხესტაფონს“, „დილას“, „სიონსა“ და „ბორჯომს“. მცირე საკადრო-ადმინისტრაციული პრობლემები ჰქონიათ; „კოლხეოს“ ფედერაციაში წერილი უფრენია, კლუბში რეორგანიზაცია მიმდინარეობს და ცოტაც გაადროვით; „ბათუმთან“ კი თურმე საერთოდ არაფერი ისმის. მოკლედ, ლიცენზიების მიღების რიგში ჯერჯერობით მხოლოდ ექვსი კლუბია, მათგან ორი პირველილიგელი — „ამერი“ და „სპარტაკი“. შეგახსენებთ, ულიცენზიო კლუბი ევროტურნირებზე არ დაიშვება.

კოლა ინასარიძე

თქვენი ინტერვიუ


ზურაბ სიზანიშვილთან

«რეინჯერსი» გლავანო. შობლანდია



რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველასის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც აღენ უირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო. ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა. მოკლედ, იატყიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვანოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.

კატინაძე



დაგვიანებული თაგაში და ვერტიკული მუქარა

შტაბი: 16 მარტი 14 საათი ტორპედო 1 500 (ტელეფონი 19 500)

ტორპედო 1:1 ბათუმი

<p>მწვანე (29), მწვანე (36)</p> <p>ტორპედო: ბერბერიძე, გამბარაძე, ბაქრაძე, ლ. მერაბიშვილი, რაჭვიაშვილი, მემარანიშვილი, ნურგაძე, კოსტაძე, დ. ბოლქვაძე, რ. ჯიქია, მგერელიძე</p> <p>სათადარიგო: გ. გაბელია, ეზრაიშვილი, გ. ახალია, დ. ბარაბაძე, სოსელია, ნუნუა, ვანჯალია</p> <p>წმენდილი: ოთარ გაბელია</p>	<p>ბათუმი: თოთლაძე, ი. მანანაძე, ბეგლარ თედორაძე, კოსტაძე, გალოგრაძე, ბესიკ თედორაძე</p> <p>ბ. ნობელი (რამიშვილი 90), გ. მანანაძე, ლ. წმელია, ვ. არჩვაძე (დუშაბაძე 74)</p> <p>კონსტანტი (სომერიკი 67)</p> <p>სათადარიგო: ი. ბალაძე, ფარტყალიძე, მაკარიანი, გ. ჯანელიძე</p> <p>წმენდილი: ამირან გოგიტიძე</p>
---	--

გაზრტყილის: მგერელიძე (78), თოთლაძე (78)

მწვანე: ა. მუშვიტი, ვ. ვარციხე, მ. ელივაშვილი, ვ. კოსტაშვილი (ველა თბილისი)

ინსტრუქტორი: ს. კელიძე, **დირექტორი:** სერგო კოტიაშვილი

დავით თავართილაძე ქუთაისიდან

შეხვედრა დაახლოებით საათნახევრით გვიან დაიწყო. პოლიციამ მატჩზე ოცი წუთით დააგვიანა, მაგრამ „ბათუმი“ მინდორზე გასასვლელად ფეხს ითრეულა. ნამატჩევეს გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმელთა დამრეგებელმა ამირან გოგიტიძემ განაცხადა, მუქარა იყო და ამიტომაც გავედით მოგვიანებით სათამაშოდო. „ტორ-

პედოს“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ იქვე კითხვით უპასუხა გოგიტიძეს, ვისგან და რა მუქარა იყო. გოგიტიძემ მიუგო, ამას აქ არ ვიტყვი, თორემ პირისპირ რომ დავრჩებით, ყველაფერს მოგახსენებო.

მატჩის ინსპექტორმა სერგო კოტიაშვილმა კი განგვიმარტა, პოლიციის დაგვიანების შემთხვევაში სტუმართა გუნდს უფლება აქვს, სათამაშოდ არ გავიდეს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტუმრებს



გია მგერელიძე (მარჯვნივ) ბომბარდირთა რეკორდზე დაწინაურდა

ფეხბურთის ბიზნესმენი ეკლე დაუბრუნდა სტადიონი, სასტუმრო, ბაზა: ნახი, როგორ აწინაურდა!

სპალ თბილისში ჩამოვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობის ძველი ნაცნობი ერის ეკლე ვინც უწინ უეფაში აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ხელმძღვანელობდა და ჩვენთან არაერთხელ სტუმრობდა ხოლმე.

ახლა ეკლე საქართველოში სხვა საქმისთვის მოდის. ის ახლა ბიზნესშია და ბრიტანულ საამშენებლო კომპანიას ხელმძღვანელობს. ჩვენთან ნაცნობობამ კი ეკლე შესაძლოა კარგა გვარიანად ახვიროს. რა თქმა უნდა, წაგებული არც ქართველები დარჩებიან.

ავლაბარში მდებარე „ოლიმპის“ სტადიონი, ფეხბურთის ფედერაციის ძველი ოფისის შენობა დიდუბეში და საქართველოს ნაკრების ბაზა — აი, სამი ობიექტი ერის ეკლე და მისი თანმხლებნი რომ დაათვალიერებენ.

ვერ უცნობია, ეკლე და კომპანია სარეკონსტრუქციოდ და საინვესტიციოდ ამ სამიდან რომელს აარჩევს, თუმცა საქმე მართლაც სერიოზულია და ტყუილად არც ეკლე ჩამოვიდოდა.

როგორც ვიცით, ფედერაციის ძველი ოფისის სასტუმროდ გადაკეთება, ხოლო საფეხბურთო კლუბ „თბილისთან“ შეთანხმებით, „ოლი-



მპის“ სტადიონის გაფართოება, კონსტრუქცია და მოწყობილობა სერს სარეკონსტრუქციოდ ეკლემ თუ „ოლიმპი“ ირჩია, ეს სტადიონი მთავალში 10-ათასიანი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი იქნება

კობა ინასარიძე

21 21-წლამდეელი ბერძენი ფეხბურთელები სათბილისოდ დაირაგმნენ

სანამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ვინა ტემბურჩავე შემადგენლობის ძიებაშია, ბერძენი 21-წლამდეელთა შვეიცარიელმა სტელიოს აბოსპორისმა უკვე დაასახელა თბილისში წამოსაყვან რჩეულ ფეხბურთელთა სია.

აბოსპორისის გუნდში 21 მოთამაშეა, მათ შორის ერთადერთი ლეგიონერი გეორგიოს სამარასია პოლანდიური „ჰერენვენდინი“, რომელიც შესაძლოა, ოტო რეკრეაციულ მთავარ ნაკრებშიც ათამაშოს, დანარჩენები კი ბერძენული კლუბების წევრები არიან.

ბერძენი რომ არ გაგავრძელოთ, ჩვენი მეტოქის შემადგენლობას აქვე გავაცნობთ: *კოსტას ანდრიოლასი (ხალიკოპოლი), ფანურის გუნდულიაკისი (პანოლონი), ფილიპოს დარდასი (აპოლონი), ორესტის კარნიციისი (ოფი), ილიას კირიაკიდისი (აეკ), პანაიოტის ლავოსი (ირაკლიოსი), სოტირის ლეონტიუ (პროდერეტიკი), მანოლის ლიაპაკისი (ევალოი), ვანგელის მანციოსი (პანოლონი), ხრისტოს ბურბოსი (აეკ), ავრაამ პაპადოპულოსი (არისი), გრიგორის პაპახაზარასი (ირაკლიოსი), ხარილავოს პაპასი (აპოლონი), დიმიტრის პეტრაკისი (აპოლონი), დიმიტრის პლაგასი (პროდერეტიკი), გეორგიოს სამარასი (ჰერენვენინი, პოლანდია), მიხაელის სიფაკისი (ოფი), ალიქსის ციოლისი (პანოლონი), პეტროს ფილიაკისი (ოლიმპიკოსი), სოკრატის ფიტიანიდისი (აპოლონი), ხრისტოს პაპინისი (აკრატეოსი).*

შევასხენებთ, რომ საქართველო — საბერძენთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი 25 მარტს „ეროვნულზე“ 16 საათზე გაიმართება შეხვედრას შოტლანდიელ მსახურა ბრიგადის მომსახურება: ჩარლზ რანსონი, ვეიმს ლიონი, ვეიმს ბი, ბრაიან ვინტერი.

კახა ზალაგაბერიძე



ჯენასი გპინდაო



პრემიერლიგის ეს სეზონი რომ დამთავრდება, ლონდონის „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ კიდევ ერთ ბრძოლას წამოიწყებენ.

ეს იქნება ბრძოლა ნიუკასლე-ლი ჯერმენ ჯენასის გადასაბირებლად, რომელიც 10 მილიონ გირვანქადაა შეფასებული.

ორივე ბოლო კლუბი თვლის, რომ კარგად გამოიყენებს ჯენასს საჩემპიონო საგაისო ბრძოლაში.

ასევე ორივე იმედოვნებს, რომ „ნიუკასლის“ ბოსი გრემ სუნესი ტრანსფერს დათანხმდება.

ირაკლი ბაგჩელიძე

ემრა მიდის, ტოლდო ფიქრობს

ემრა ბელოზოლუ სეზონის ბოლოს მილანის „ინტერს“ დატოვებს და, სავარაუდოდ, ესპანეთში ან ინგლისში გადაბარდება. თურქს ეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და უკვე კლუბის ხელმძღვანელობასაც ესაუბრა. „ნერო-ატურის“ კარის დარაჯი ფრანჩესკო ტოლდო კი შესაძლოა, საერთოდ ფეხბურთიდან წაივდეს...

მიმდინარე სეზონში ემრეს რობერტო მანჩინი მაინცდამაინც აღარ სწყალობს. 24 წლის ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე მტკიცედ დამკვიდრდა, რითაც უკმაყოფილოა და კლუბის გამოცვლაც სწორედ ამან გადაწყვეტინა.

„ინტერის“ უფროსობას უკვე ვუხაზურე და ვუთხარა, რომ წახვლას ვაპირებ, რადგანაც სხვა ქვეყანაში თამაში მინდა. გუნდთან ორნახევარწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ იმედი მაქვს, არააირი პრობლემა არ იქნება. წინადადებები ინგლისიდან და ესპანეთიდან მაქვს, რაც ძალიან მახარებს. ჯერ ერთი, თავდაცვითი პრემიერლიგაში ან პრემიერლიგაში თამაში მსურს. მეორეც, ამ ქვეყნებიდან სერიოზული წინადადება აქამდე არ მიმი-

ღია. რაც შეეხება სამშობლოში დაბრუნებას, ამჯერად ეს თითქმის გამორიცხებულია“ — აღნიშნა თურქმა ნახევარმცველმა.

ფრანჩესკო ტოლდო კი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. 33 წლის გოლიკები არადაამაჯერებელი თამაშისთვის ბევრჯერ გააკრიტიკეს, თანაც, „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვეღარ ხვდება.

„სეზონის ბოლოს შესაძლოა, ფეხბურთის თამაშს თავი დავანებო. არც იმას გამოვიცხავ, რომ უბრალოდ კლუბი გამოვიცვლო. ვიცი, საუბრობენ თითქოს „ფიორენტინაში“ ებრუნდები, მაგრამ ამას ნამდვილად არ ვაპირებ. იმასაც ამბობენ, რომ ჩემი ინგლისური კლუბები დაინტერესდნენ, მაგრამ პირადად არაფერი დამკავშირებია და პრემიერლიგაში თამაში მაინცდამაინც არ მზიბლავს“ — თქვა ტოლდომ.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს ტოლდოსაც და ემრესაც ინგლისური გრანდები — „არსენალი“ და „მანჩესტერი“ აკვირდებოდნენ.

გიორგი ბაგჩელიძე



ფრანჩესკო ტოლდოს კარიერის დასრულება სურს

გაბრიელ ომარ ბატისტუტა, რომელიც სათამაშო კარიერა სულ რამდენიმე დღის წინ დაასრულა, შესაძლოა, „ფიორენტინაში“ დაბრუნდეს. მოგეხსენებათ, არგენტინელს არაერთხელ უთქვამს, ფლორენცია ჩემი მეორე სამშობლოა და ფეხბურთის თამაშს რომ

შეწყვეტ, კლუბში ერთ-ერთ თანამდებობას დიდი სიამოვნებით დატოვებდიო. თავის მხრივ, „იები“ „ბატისტოლს“ შეჰპირდნენ, რომელიმე პოსტი გარანტირებული გაქვსო. ახლა 36 წლის ბატისტუტას გადაუწყვეტია, სიტყვა საქმედ აქციოს

სიტყვა და საქმე ბატიგოლი ფლორენციაში ბრუნდება



„გაბრიელს ახალი კარიერის დაწყება და იტალიაში დაბრუნება უნდა. საუბარი „ფიორენტინაზე“, რადგანაც „რომას“ მფლობელი კვლავ ფრანკო სენსია. ის და ბატისტუტა კი ცხოვრებას სხვადასხვა თვლით უყურებენ. რაც შეეხებათ ფლორენციელებს, მათ ადრე უკვე შემოგვითვალეს გარკვეული გარიგება და დროა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ“ — განაცხადა არგენტინელის აგენტმა მაურიციო ალიოზიმ.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ გაბრიელ ბატისტუტა ფლორენციელთა რიგებში 9 წელი იყო და გუნდის ლეგენდად იქცა. შემდეგ მან შედარებით მცირე დრო გაატარა „რომასა“ და „ინტერში“ და ყატარში წაივდა.

გიორგი ბაგჩელიძე

ფეხბურთი ბიზნესი არაა, ხელი მოითხოვს მიუღელ პლატინი ევროპის ბოსობა გაამხილა

მიუღელ პლატინი უფასო პრეზიდენტის არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენას აპირებს. 1982 და 1986 წლის საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარულმა კაპიტანმა, 49 წლის ფრანგმა განაცხადა, რომ თუ მას აირჩევენ, ფეხბურთში დაგროვილ ბევრ პრობლემას ეშველება.

„უფასო პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს წერილი გაუუგზავნე, რომელშიაც ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ვამცნობ. მსოფლიო ფეხბურთში მრავალი პრობლემა მოსაგვარებელი“ — განმარტავს პლატინი.


ცნობილია, რომ ლენარტ იუჰანსონი მომავალ არჩევნებში კენჭისყრას აღარ აპირებს.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ პლატინის კანდიდატურას, რადგან გვჯერა, რომ მას შეუძლია, ფეხბურთს სიკეთე მოუტანოს“ — განაცხადა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-პიერ ესკალტმა.

ევროპის ზედიზედ სამეზის საუკეთესო ფეხბურთელი 1984 წელს „ლურჯებთან“ ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა, ტურინის „იუვენტუსის“ შემადგენლობაში კი სამჯერ სკუდეტო, ერთხელაც ევროპის ჩემპიონთა თასი მოუგია.

„მსურს, რომ ფეხბურთი ბიზნესი კი არა, თამაში იყოს“ — დასძენს ბოლოს პლატინი.

მათ ხუციშვილი




რაული ებეზ წავიდეს... რეალის კაპიტანი ზედმეტი ტვირთი არ იქნება

„ბოლო დროს „რეალიდან“ ჩემი წასვლის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. ზოგიერთმა გაზეთმა „სანტიაგო ბერნაბეუდან“ რაულის გამგზავრებას ოფიციალური სახეც კი მისცა... ამბობენ, რომ კლუბს უახლოეს მომავალში ოთხი „გალაქტიკოსი“ დატოვებს, რომელთა შორის მეც ვიქნები. თუმცა, მედიისა და „რეალის“ ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავდება — ის რაც პრესას და ტელევიზიას ხელს აძლევს, გუნდისთვის ხშირად წამგებიანია-ხოლმე... ზოგიერთი გულშემატკივარი 11 წლის განმავლობაში ერთი და იგივე ფეხბურთელის ნახვით დაიღალა... მეორე მხრივ, თუ ეს კლუბის ინტერესებშიც შედის, „რეალს“ უყოყმანოდ დავტოვებ, მიუხედავად იმისა, რომ „ბერნაბეუზე“ დარჩენის დიდი სურვილი მაქვს“ — ეს გახლავთ რაულ გონსალეს ბლანკოს მონოლოგი, ამონარიდი ესპანური AS-დან.

რაკეები. კი ბატონო, ფლორენცია და მისი თანამემწეებიც ყველანაირად მამხნევებენ, რომ „იუვენტუსთან“ და „ხეტაფესთან“ წაგების მერე გული არ გამიტყდეს და ისევ ძველებურად ვითამაშო. მეც ასე ვთვლი — ჯერ მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სასარგებლოდ ჩემი მაქსიმუმი არ გამიკეთებია“.

მოგეხსენებათ, „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგიდან გაგარდნის მერე პრემიერლიგისთვის „ხეტაფესთანაც“ წააგო და წლეულს, ესპანეთის ჩემპიონობის შანსი თითქმის დაკარგა. „სამეფო კლუბის“ ამჟამინდელ უძღურებს რაულიც კარგად აძწევს; „სამინდელ ვთამაშობთ, დაცვას გადაჭარბებულ ყურადღებას ვაქცევთ და ამის გამო იერიშებისთვის ვეღარ მიგვიხედავია. თუმცა ვერც უკანა ხაზის განმტკიცება შევძელით... ასე ვერაფერს ვერ მოვიგებთ“.

ლადო ხომერიძე



შემდეგ რაული განაცხადებს: „არ მინდა, „რეალისთვის“ ზედმეტ ბარგად ვიქცე, თუ ფლორენციაში პერესი ჩემთან განმორებას გადაწყვეტს, კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ პირდაპირ მითხრას — ეს უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე ხანგრძლივი და დამღლევი მოლაპარაკება“.

ჩელტენჰემის დოლი


ჩელტენჰემის ეროვნული ფესტივალი, გლოსტერშირში რომ გახურებულია, კარგ დოლსაც გულისხმობს. მომგები ამჯერად არუალისი (მარცხნიდან მეორე) და მისი ირლანდიელი უოკეი გრემ ლი იყვნენ. ისე კი, ჩელტენჰემში ბევრ განთქმულ ვინმეს ნახავდით. მაგალითად, დედოფლის შვილიშვილ ზარა ფილიპსს და მის ბოიფრენდს, განთქმულ მორაგბეს მაიკ ტინდალს, რომელსაც მოტეხილი ფეხით უვლია ფესტივალზე.



REUTERS ჩელტენჰემიდან

მოსკოვური

მოსკოვში ვრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. საამო საცქერი შეჯიბრი გახლავს და ვარსკვლავებიც დიდებულ ფორმაში არიან. ნიმუშად: რუსული წყვილი — ტატიანა ნავკა და რომან კოსტომაროვი.



REUTERS მოსკოვიდან



REUTERS დაკარდან

სანდლეზის ბჭე

ბანგლადეშური ეზოს საკრიკეტო ბჭე აუცილებლად მოგვგონებს ძველი ეზოს ფეხბურთის ჭინჭის ბურთს. კრიკეტი აქ საყვარელი თამაშობაა და ბანგლადეშის ნაკრებიც ერთ-ერთი მსოფლიოს ტესტებში მონაწილე გუნდია — ამას წინათ ზიმბაბვეც კი დაამარცხა.

სარბიელი

საორტული გაზეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გაგონის ორგანოს,
სამშაბასუს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შინგერია
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
მთავარი რედაქტორი ილია პაპუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბუაძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თაყაიშვილი
კობა ინასანიძე, ილია ჩინიძე, კახა შალამაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახუციანი,
ვიორჯი დარჯანია, ვიორჯი კასკაძე, ხოსო კოტინიშვილი,
დავით ხიშინიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟა ახალაძე, ლევან კვარაცხელიძე
თიან მადლაკელიძე, ირაკლი შერვაშიანი
ფოტორეპორტორები: გურამ დოღენაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა ვიორჯიანი, ლალი გოხლიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუშაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დავლიშვილი,
სველა დოგრაშვილი, ზვიად მისაშვილი, იენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინჭაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზაშვილის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
ყაბი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>